

შპს „ჯეო ფრეშ გრუპი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204566567

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის

შინაარსი

ზოგადი ინფორმაცია	3
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

ზოგადი ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ჯეო ფრემ გრუპი“-ს (ს/კ:204566567) (შემდგომში კომპანია) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

შპს ჯეო ფრემ გრუპი რეგისტრირებულია 2009 წლის 26 მარტს (დამატებითი ღირებულების გადამხდელად 2011 წლის 27 ივლისს). კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ვაჟა ზადაგაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ჭირნახულის ქ. N 9

1. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით-ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი 2020 წლის 1 იანვრიდან - 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

2. მსს ფასს-ზე გადასვლა

2020 წლის 31 დეკემბრამდრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს მესამე ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმოს ძირითადი საქმიანობა არის ხილის-ბოსტნეულის საბითუმო ვაჭრობა, აღნიშნული საქონელი შემოდის იმპორტით და ძირითადი ნაწილი გადის რეექსპორტზე: სასომხეთი, ყაზახეთი და ა.შ. კომპანიის მიზანია გადავიდეს სამაცივრე სისტემაზე და აღებული სესხი ხმარდება მაცივრების მაღალ დონეზე მოწყობას.

- **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, შესაბამისად კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

- **ოპერაცია და ნაშთები**

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსთვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი: საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

4. საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც

თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

მოსალოდნელია მისი რეალიზება, ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა, ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში და ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

5. ფინანსური ანგარიშგება –გასული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, რომელშიც წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად სტრუქტურულად არის მოცემული სუბიექტის ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობის შედეგები, ფულადი სახსრებისა და კაპიტალის მოძრაობა, სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები;

6. სრული შემოსავლების ანგარიშგება

- ბასს18-ისტანახმად შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდით ან ვალდებულებების შემცირების გზით,რაც გამოიხატება საკუთარი კაპიტალის ზრდით,რომელიც არ არის დაკავშირებული მესაკუთრეთა დამატებით შენატანთან.
- შემოსავლის სახეებია : საოპერაციო და არასაოპერაციო.
- შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიკური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება ნეტო ღირებულებით ე. ი. მესამე პირის ხელით ამოღებული თანხების (დღგ აქციზი) გარეშე;

- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;
- შემოსავლები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში და აისახება მისი წყაროების მიხედვით;
- ხარჯები აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;
 - წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება;
- დივიდენდების გასაცემად;
- სხვა მიზნით აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	50,360.37	271 478	731 761
სავაჭრო მოთხოვნები	2	4,976,927.32	7 446 412	7 007 662
გადახდილი ავანსები და დარიცხულიმისაღებიშემოსავალი	3	286,504.64	4214	321 709
მარაგები		0	120 931	814 073
- მზა პროდუქცია				
- სხვა	4	0	120 931	814 073
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები				
ბიოლოგიური აქტივები				
- თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				

შპს „ჯეო ფრეშ გრუპი“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1 159 396	1 392 004	1 010 344
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულა ქტივები		6 473 188	9 235 039	9 885 549
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	6	5 523 133	7 820 439	6 938 358
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				25 030
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	234 532	305 684	991 945
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	8	1 215 970	63 998	63 998
სულ ვალდებულებები		6 973 635	8 190 121	8 019 331
საკუთარიკაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	9	(500 447)	1 044 918	1 866 218
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი		(500 447)	1 044 918	1 866 218
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6 473 188	9 235 039	9 885 549

ფორმა N2 საქმიანობის შედეგი

		საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	10	14 203 226	12 067 577
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა	11	1728	5455
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება			
საწყისი მარაგები			814 072
მარაგების შესყიდვა	12	14 124 564	11 690 255
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები		0	(120 931)
საერთო მოგება		80 391	(310 364)
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(152 226)	(87 208)
ცვეთა და ამორტიზაცია	14	(232 607)	(129 834)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	15	(45 333)	(28 576)
იჯარის ხარჯი	16	(10 561)	(8561)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(838 253)	(542 625)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1 278 980)	
საოპერაციო მოგება		(1 198 589)	(1 107 168)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	18	6508	61942
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგები ს გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(1 192 082)	(1 045 226)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		(1 192 082)	(1 045 226)

ფორმა N3 კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 044 917	1 866 218
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა		
	19 (353 281)	223 928
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(500 447)	1 044 917

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აქტივები

კომპანიის აქტივებს წარმოადგენს მის საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრები, სავაჭრო მოთხოვნები, წინასწარ გადახდილი ავანსები, ძირითადი საშუალებები და მარაგები.

1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში და ფულ სგზაში.

	31.12.2020 წ.	31.12.2019 წ.
ბანკი	6057.65	247 167
სალარო	44302.72	23 311

2. სავაჭრო მოთხოვნები- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობი სშედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარდება საქონლის გასაყიდი ფასის ოდენობით. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება ჩვეულებრივ სავაჭრო

ურთიერთობაში ზეპირი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება
ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე

- ყოველი სამეუნეო წლის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულების შეფასებას (დებიტორული დავალიანება), რათა განსაზღვროს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულების არსებობა.
- უიმედო ვალის (საექვო მოთხოვნები) არსებობის შემთხვევაში აღიაროს ხარჯად ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი 2020 წლის ბოლო მდგომარეობით შეადგენს
4 976 927 ლარს.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი-წარმოადგენს
ბიუჯეტში გადახდილი თანხები საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის და
მოთხოვნებს პერსონალის მიმართ.

აღრიცხვა ანგარიშგების ბარათზე არსებული ნაშთი წლის ბოლოს შეადგენს 275 536
ლარს.

მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ 10 968 ლარს.

ჯამში 286 504 ლარს.

4. მარაგები: მარაგის თვითღირებულება მოიცავს: შეძენასთან და გადამუშავებასთან
დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი
მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში
მოსაყვანად. სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა
პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვით
ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.
თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის
გამოყენებით.

მარაგის საწყისი ნაშთია 814 072 ლარი, ხოლო საბოლოო მარაგის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

5 . ძირითადი საშუალებები - ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება
ბასს-16-ით „ძირითადი საშუალებების“ შესაბამისად, თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ
დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი
თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვებაა ქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი კონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება.

ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2020 წელი		2019 წელი	
მიწა	25 400		25 400
შენობა-ნაგებობები	257 849		271 420
სხვა ძირითადი საშუალებები	876 147		1 095 184

6. **სავაჭრო ვალდებულებები**- მოკლევადიანი ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს შპს-ს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციების გადაყვანა ხდება ფუნქციონირებად ვალუტაში (ქართულ ლარში) ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსით. ანუ სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავისმოვალეობებს საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კომპანიას კრედიტორული დავალიანებებს წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებები, წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით.

კრედიტორული დავალიანების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 5523133 ლარს. სადაც უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთები გადაფასებულია ეროვნული ვალუტის კურსის მიხედვით.

7. **გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები**- კომპანიას აქვას აღებული საფინანსო ინსტიტუტებიდან ანუ ბანკიდან სესხი, რომელიც შპს-მ 2019 წლის განმავლობაში

დაიმატა ახალი გრძელვადიანი სესხი 574 777 ლარი და დაფარა სესხის ძირი თანხა 1 261 037 ლარი. შესაბამისად 2019 წლის ბოლოს ათვისებული სესხის ნაშთი შეადგენდა 305 684 ლარს. 2020 წელს კომპანიას აღარ დაუმატებია სესხი, ფარავდა მის ძირ თანხებს და 2020 წლის ბოლოს ბანკის სესხმა შეადგინა 234533 ლარი.

8. სხვა ვალდებულებები- ეს არის გადასახდელი დივიდენდები, დივიდენდი აღიარდება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ანგარიშის შედგენის თარიღისათვის. 2019 წელს არ განაწილებულა დივიდენდი, შესაბამისად წლის ბოლოს ნაშთი იგივეა რაც 2018 წლის ბოლოს გვქონდა, რაც შეადგენს დარიცხულ 63 998 ლარს. ხოლო 2020 წელს კიდევ დაემატა დარიცხული დივიდენდი 1151972 ლარი და ჯამში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხული დივიდენდის თანხამ შეადგინა 1215970 ლარი.

9. გაუნაწილებელი მოგება / ზარალი-საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება. საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის (ჩვეულებრივი აქციები) საემისიო კაპიტალის, გამოსყიდული საკუთარი კაპიტალის მიმდინარე და წინა წლის გაუნაწილებელი მოგებისაგან. საწესდებო კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას და სხვადასხვა რეზერვებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი შეადგენს **1 866 218**, სადაც პერიოდის განმავლობაში მიღებული ფინანსური ზარალი შეადგენს **484 426** ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **1 044 918** ლარი, სადაც ცვლილებების შედეგად დაკორექტირდა 2018 წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი **223 925** ლარით. კორექტირების შემდეგ 2018 წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს **2 090 146** ლარს. 2019 წლის ზარალი კი შეადგენს **(1 045 226)** ლარს. 2020 წლის საკუთარი კაპიტალის ნაშთი შეადგენს **(500447)** ლარს.

10. ნეტო ამონაგები- ამონაგები მოიცავს შემოსავლებს სრულიზაციიდან, როგორც საცალო ასევე მცირე საბითუმო მყიდველებისთვის. საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების, სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით. ამონაგების თანხა მოცემულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე.

		2020	2019
ნეტო ამონაგები			
საქონლის გაყიდვიდან	10	14 203 226	12 067 577

11. სხვა - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 1728 ლარს, სადაც 1728 ლარი არის სადაზღვევო კომპანიის მიერ ზარალის ანაზღაურების.

12. მარაგების შესყიდვა- წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს შეძენის (ნასყიდობის) ფასს; სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს. სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად, როგორც ხარჯი. მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 14 124 564 ლარი,

13. დასაქმებულთა ანაზღაურება- შრომის ანაზღაურება მთლიანად მოიცავს, როგორც ხელფასს აგრეთვე დროებით დაქირავებულის ანაზღაურებას. 2020 წელს შრომის ანაზღაურების ხარჯმა შეადგინა დარიცხული 152 226 ლარი.

14. ცვეთა და ამორტიზაცია- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. ძირითად საშუალებაზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთით:

- შენობა ნაგებობა - 5%
- საოფისე აღჭურვილობა - 20%
- ავეჯი და მოწყობილობა - 20%
- სატრანსპორტო საშუალებები - 10%

სხვა ძირითადი საშუალება - 20%

2020 წლის ცვეთის საერთო ჯამმა შეადგინა 232 608 ლარი.

15. საპროცენტო ხარჯი- ათვისებულ საკრედიტო ხაზზე კომპანიას მოუწია 45 333 ლარის საპროცენტო ხარჯის გაწევა 2020 წლის განმავლობაში.

16. იჯარის ხარჯი- იჯარა კალსიფიცირდება, ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად ან ფინანსურ იჯარად.

- ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა არის ნებისმიერი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად.
- ფინანსური იჯარა ისეთი ტიპის იჯარაა, რომლის დროსაც აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა მოიჯარეს.

კომპანიას საოფისე ფართი იჯარით აქვს აღებული სს "შოდა"- სგან. და სასაწყობე ფართი შპს "დიდუბე პლაზა" -სგან. 2020 წელს იჯარის ხარჯმა შეადგინა 10561 ლარი.

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი- მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევისთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

2020 წლის საანგარიშო პერიოდის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი ჯამურად შეადგენს 838253 ლარს და იზიფრება შემდეგნაირად :

გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	1332
ავტომობილის ხარჯები	46765
დამოუკიდებელი ანგარიში	434
კომუნალური ხარჯები	138823
დაზღვევა	12540
სხვა საერთო ხარჯი	633359
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5000
ჯამი	838 253

18. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან- წარმოქმნილი სხვაობა ვალუტის გადაფასების შედეგად დაგროვებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის, საანგარიშგებო წლის განმავლობაში.

2020 წლის საანგარიშო პერიოდის მოგება კურსთა შორის სხვაობიდან შეადგენს 6508 ლარს.

19. გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა- წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის შეცდომები არის საწარმოს წინა საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობა ან ინფორმაციის გამოტოვება, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საწარმომ არ გამოიყენა, ან არასწორად გამოიყენა სანდო ინფორმაცია. ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომების, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომების, ფაქტების უწყურადღებოდ დატოვების, ან არასწორი ინტერპრეტაციისა შედეგები.

ამ შემთხვევაში შპს-მ მოახდინა ცვლილებების განხორციელება ძირითადად დებიტორ-კრედიტორებთან ნაშთის შედარების საფუძველზე. ასევე ცვლილებები შეეხო სალაროს ბრუნვებს და მარაგების ნაშთს.

ჯამში ამ ცვლილებებმა 2019 წლის ბოლოს საწესდებო კაპიტალის ნაშთზე იქონია (353 281) ლარის სხვაობა, რითიც დაკორექტირდა უკვე 2020 წლის საწყისი ნაშთი.

დირექტორი

ვაჟა ბადაგაძე

25.07.2021

